ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №7810720

ნომერი: AR11128050

თარიღი : 07.02.2026

გაცემის თარიღი : 17.02.2026

გაცნობის თარიღი : 17.02.2026

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა მუხრან მაჭავარიანის , N 1;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ლაშა ასათიანი პ/ნ 01009005250
- თბილისი ზ.ფანასკერტელის ქ. კორ. 11 ბ. 33

ნომენკლატურა :

- I კლასი
- 4 მ-მდე სიმაღლის მქონე ღობე
  რეკონსტრუქცია
- ანტრესოლის, კიბის, ვიტრინის, ცეცხლმედეგი გამმიჯნავის, კარის, ფანჯრის და სხვა ღიობის, მოწყობა ან დემონტაჟი
  რეკონსტრუქცია

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის

ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია და გაცნობებთ, რომ საკითხის განსახილველად საჭიროა წარმოადგინოთ შემდეგი:

1. წარმოსადგენია ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული თანხმობა გზის მოწყობის თაობაზე (თქვენს მიერ ამჟამად წარმოდგენილია ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს 26.07.2024წ. წერილი, რომელიც ვადაში იყო 1 (ერთი) თვის ვადით. აქედან გამომდინარე ვინაიდან აღნიშნულ წერილს გასული აქვს მოქმედების ვადა და აღნიშნულ მონაკვეთში მისასვლელი გზა მოწყობილი არ არის საჭიროა წარმოადგინოთ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს წერილი გზის მოწყობის თაობაზე, რომელიც უნდა ატვირთოთ სააგენტოს ვებ გვერდზე შესაბამის ნომენკლატურაზე: "სამუშოების წარმოების და საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემის შეთანხმება".).

2. ასევე წარმოდგენილი შეთანხმებული საგზაო სქემებით ვერ დგინდება საპროექტო მონაკვეთი შეთანხმებული იყო თუ არა. წარმოადგინეთ უშუალოდ საპროექტო ადგილის შეთანხმებული საგზაო სქემა. ასევე საგზაო მოძრაობის სქემა უნდა შეთანხმდეს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტთან.

ხარვეზების გამოსწორებისთვის გეძლევათ 15 სამუშაო დღე. მოცემულ ვადაში განახლებული დოკუმენტაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში განცხადება დარჩება განუხილველი. იმ შემთხვევაში, თუ თქვენი მხრიდან არ მოხდება სამსახურის მიერ დადგენილი ხარვეზების სრულყოფილად გამოსწორება სამსახური უფლებამოსილია აღნიშნული განაცხადი დატოვოს განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.